პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 ივლისი კვირა 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 174 (14778)

26 ივლისი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

სურათზე: ნავსაწინააღმდეგო ხომალდები მრისხანე ძალაა, ურთულეს ხელსაწყოთა დახმარებით მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავები შეიძლება აღმოჩენილ იქნას ყოველ რაიონში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის 21 ივლისის პლენუმის დადგენილება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები

მოისმინა და განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ვ. პ. მჟავანაძის** მოხსენება **„სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ერთსულოვნად იწონიებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი დაჩქარებული განვითარება.

სოფლის მეურნეობის პრობლემათა განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კიდევ ერთხელ მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ყურადღებას ქვეყნის პროდუქტებზე მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებისა და ნედლეულზე მრეწველობის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილების საკითხებისადმი.

ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ჩვენი ქვეყნის სოფლის მშრომელებმა, ქალაქის მშრომელთა აქტიური მხარდაჭერით, ძიალწიეს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდა იმის შედეგია, რომ თანმიმდევრულად ხორციელდება პარტიის კურსი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისა — ყველა სამუშაოთა მექანიზაციისა და მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენების, მიწების მელიორაციისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარებაში ეკონომიური სტიმულების გაძლიერების კურსი.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც მიმდინარე ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში საახალმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდეს: 156 ათასი ტონა ყურძენი, 81 ათასი ტონა ჩაი, 66 ათასი ტონა ხილი, 80 ათასი ტონა მარცვლეული, 26 ათასი ტონა ციტრუსები, 80 ათასი ტონა მაქრის ჭარხალი, 38 ათასი ტონა ხორცი, 28 ათასი ტონა რძე, 14 მილიონი ცალი კვერცხი. შესანიშნავი გამარჯვებით გაახარეს სამშობლო სახელოვანმა მეჩაიეებმა, რომლებმაც ვადამდე — მიმდინარე წლის 28 ივნისისათვის შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა და იკისრეს ვალდებულება ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 100 ათასი ტონა ეს ძვირფასი ნედლეული.

საზოგადოებრივი წარმოების ზრდამ განაპირობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცება, სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. უფრო სრულად კმაყოფილდება მათი სულიერი მოთხოვნილებანი, გაუმჯობესდა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ცხოვრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. რესპუბლიკის სოფლებში ფართოდ მიმდინარეობს საბინაო, კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

ამასთან ერთად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი.

მთელ რიგ რაიონებში სათანადო ეფექტიანობით ვერ იყენებენ ტექნიკას, მინერალურ სასუქებს, სარწყავ და ამოშრობილ მიწებს; არასრულად ხორციელდება აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რის შედეგადაც მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და ნელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპები.

ჯერ კიდევ ნელა ვითარდება რესპუბლიკაში მარცვლეულის მეურნეობა და მეცხოველეობა. ბოლო წლების მანძილზე თეთრი წყაროს, მარნეულის, აბაშის, გეგეჭკორის, ბოლნისის, ლენინგორის, კასპისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ბევრ მეურნეობაში მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავლიანობა არ აღემატება 10-12 ცენტნერს ჰექტარზე. დაბალია სიმინდის მოსავლიანობა სარწყავ მიწებზე.

არასაკმარისი ტემპებით ვითარდება აგრეთვე სოფლის მეურნეობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგები, როგორიც არის მეთამბაქოობა და ეთერეზეთოვანი კულტურები. განსაკუთრებით ჩამორჩება მეთამბაქოობა აფხაზეთში, რაც გავლენას ახდენს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში თამბაქოს ნედლეულის დამზადების გეგმის შესრულებაზე. მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს არ შეესაბამება რესპუბლიკაში ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების დონე.

მეცხოველეობის განვითარებას აფერხებს სუსტი საკვები ბაზა, საკმაო აქტივობით და სრულად ვერ იყენებენ პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების არსებულ რეზერვებს. რესპუბლიკის რაიონების თითქმის 40 პროცენტში თვითეულ ფურზე რძის ნაწველი არ აღემატება 1.000 კილოგრამს. განსაკუთრებით დაბალია რძის ნაწველი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებში, ცაგერის, ონის, გალის, გუდაუთის, ჩოხატაურის და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობებში.

ბევრ მეურნეობაში მოგვარებული არ არის პირუტყვის ინტენსიური სუქება. დაბალია ხორცკომბინატებში ჩაბარებული ცხოველების კონდიცია და საშუალო წონა.

კვლავაც დაბალ დონეზეა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, რაც აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, განსაკუთრებით მეცხოველეობაში, ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სუსტად წარმოებს ეკონომიური მუშაობა, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ზარალიანი მეურნეობა. 520 კოლმეურნეობამ, ანუ ყველა კოლმეურნეობის 38 პროცენტმა, 1969 წელი 15,3 მილიონი მანეთი ზარალი დაამთავრეს. რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა, იღებს რა ბანკის კრედიტებს კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურებისათვის, არ ზრუნავს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის და მძიმე საფინანსო მდგომარეობაში ვარდება. 1969 წელს 660 კოლმეურნეობას სულ არ გადაურიცხავს სახსრები განუყოფელი ფონდების შესავსებად. ბევრ მეურნეობაში უხეშად არღვევენ ფინანსურ დისციპლინას. 1969 წელს ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც 3 მილიონი შემოსავალი მიიღეს, კოლმეურნეებს შრომის ანაზღაურებისათვის დაურიცხეს 4,5 მილიონ მანეთამდე. მსგავსი ფაქტებია აგრეთვე გურჯაანის, ზუგდიდის, საჩხერის, ლენტეხის, დმანისის, თიანეთის, წალკის და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი აღგილობრივი ორგანოები სათანადო კვალიფიციურ ხელმძღვანელობას ვერ უწევენ კოლმეურნეობათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას, დროულად ვერ ავლენენ და ვერ აღმოფხვრიან კოლმეურნეობათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს.

რესპუბლიკაში არ ხდება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით 1966-1969 წლებში ვერ ათვისეს 19,3 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი, „საქმთავარენერგოს“ ხაზით—2,1 მილიონი მანეთი, ხოლო „საქკონსერვხილბოსტნის“ ხაზით — 1,9 მილიონი მანეთი.

იმ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების საქმიანობაში, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობის პრობლემებზე, განსაკუთრებით მცენარეთა დაცვის ინსტიტუტისა და ტყის ინსტიტუტის საქმიანობაში, მეცნიერული კვლევა ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გადაუდებელ ამოცანებს. მეცნიერებმა ვერ გამონახეს მცენარეთა იმ მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი საშუალებანი, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებენ სოფლის მეურნეობას.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საამინისტროები, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ და მათი აღგილობრივი ორგანოები არ ეწევიან საჭირო მუშაობას იმისათვის, რომ უფრო სრულად იყოს გამოყენებული საბჭოთა-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ყველა რეზერვი, ხშირად ურიგდებიან იმას, რომ მთლიანად რესპუბლიკის კარგი მაჩვენებლების მიღმა არიან ცალკეული მეურნეობები და რაიონებიც კი, რომლებიც წლითიწლობით ვერ ასრულებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სახელმწიფო დავალებებს. ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში რესპუბლიკის 117 კოლმეურნეობასა და

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 170

1970 წლის 26 ივლისი ქ. მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდგომებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

ამხანაგო გემთმშენებლებო და გემთმერემონტებმო!

ამხანაგო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ვეტერანებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. ზემოთ მატივს სცემენ რა სამხედრო მეზღვაურებს, საბჭოთა ადამიანები სიამაყით აღნიშნავენ ჩვენი საბჭოთა ფლოტის დიდ დამსახურებას სამშობლოს წინაშე, მის სახელოვან საბრძოლო და რევოლუციურ ტრადიციებს.

ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტი საიმედოდ უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის უშიშროებასა და სახელმწიფო ინტერესებს ზღვებსა და ოკეანეებში.

ეს ტრადიციული დღესასწაული წელს აღინიშნება პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საყოველთაოსახალხო ზეიმით.

ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, ჩვენი ქვეყნის მშრომელები მტკიცედ იბრძვიან მერვე ხუთწლედის დამთავრებული წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. განუწყვეტლივ იზრდება საზოგადოებრივი წარმოება, წარმატებით ვითარდება მეცნიერება და კულტურა, ახალი ნაბიჯია გადადგმული კოსმოსური სივრცის ათვისებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით დასახულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების, ყველა მისი დარგის აღმავლობის ფართო პროგრამა.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ ახორციელებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ განამტკიცოს მშვიდობა, ყოველგვარი ხელყოფისაგან დაიცვას საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა, განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის, სოციალიზმის მოძმე ქვეყნების უშიშროება. ეს ზრუნვა ნაკარნახევია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების სირთულით. ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა მმართველი წრეები განამტკიცებენ აგრესიულ ბლოკებს, ზრდიან გამალებულ შეიარაღებას, აწყობენ ხშირ სამხედრო ავანტიურებს. ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივი ომი ვიეტნამსა და კამბოჯაში, ისრაელის აგრესია ახლო აღმოსავლეთში, რევანშისტული ძალების ხრიკები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — ყოველივე ეს მსოფლიო იმპერიალიზმის ნახელავია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები უდგანან სათავეში.

ამ პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების ამაღლებისათვის, ლენინის იუბილეს წინ არმიისა და ფლოტის მეომრებმა „დენინსა“ და „ოკეანეს“ მანევრებში უნარიანი მოქმედებით პარტიასა და ხალხს უამაყეს თავიანთი მაღალი საბრძოლო მზადყოფნა ყოველი აგრესორის შესაძულრავად.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად არმიისა და ფლოტის მეომრები ემზადებიან სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. სამხედრო მეზღვაურები, ისევე როგორც შეიარაღებული ძალების ყველა მეომარი, მტკიცედ ასრულებენ ვ. ი. ლენინის ანდერძს, კომუნისტური პარტიის წრთხოვნებს, დაუცხრომლად სრულყოფენ თავიანთ სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას, წარმატებით ეუფლებიან თანამედროვე საბრძოლო ტექნიკასა და იარაღს, ამაღლებენ სიფხიზლესა და საბრძოლო მზადყოფნას. ისინი მუდამ მზად არიან შეასრულონ ბრძანება სოციალისტური სამშობლოს საზღვაო მიჯნების დაცვის შესახებ.

მოგეხალმებით და გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს!

ვუსურვებ სამხედრო მეზღვაურებს შემდგომ წარმატებებს საბრძოლო გაწვრთნილობის, იდეურ-პოლიტიკური წრთობის სრულყოფაში, სამხედრო დისციპლინის განმტკიცებაში, მშვიდობისა და სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად პასუხსაგები ამოცანების შესრულებაში.

გემთსამშენებლო მრეწველობის მუშაკებს ვუსურვებ ახალ მიღწევებს საბრძოლო ხომალდებითა და მრისხანე შეიარაღებით ჩვენი ფლოტის აღჭურვაში.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად

ვბრძანებ:

დღეს, 26 ივლისს, 21 საათზე ადგილობრივი დროით მოეწყოს საღღესასწაულო ფეიერვერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში, ფლოტებსა და ფლოტილიებში.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს და მის მამაც სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

დიდება საბჭოთა კავშირს კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ა. გრეჩკო.

□ □

გულითადი მილოცვები

ამხანაგებმა **ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ** და **ა. ნ. კოსიგინმა** კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ **ფიდელ კასტრო რუსს** და კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ **ოსვალდო დორტიკოს ტორადოს** გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად ვულოცავთ კუბის კომუნისტურ პარტიას, კუბის რესპუბლიკის რევოლუციურ მთავრობას, მოძმე კუბელ ხალხს და პირადად თქვენ რევოლუციურ დღესასწაულს ეროვნული აჯანყების დღეს.

მონკადას ყაზარმის შტურმის მონაწილეთა გმირობამ საფუძველი ჩაუყარა რევოლუციურ მოძრაობას, რომლის გაძარჯვებამ კუბას მოუტანა ნამდვილი ეროვნული და სოციალური გახთათისუფლება და გამოიწვია დასავლეთ ხახევარსფეროში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა.

ეროვნული აჯანდების მე-17 წლისთავს კუბელი ხალხი ეგებება დაძაბული თავდადებული მუშაობით, რათა გადაჭრას ძველი, ექსპლოატატორული წყობილებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიური ჩამორჩენილობის რაც შეიძლება მალე დაძლევის ამოცანები, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანები.

კუბისათვის ამ ღირსშესანიშნავ დღეს ჩვენი პარტია, მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი ძველ ურყევ რევოლუციურ სოლიდარობას უცხადებენ მოძმე კუბელ ხალხს. დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკას შორის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა კვლავაც განუხრელად გაფართოვდება და განმტკიცდება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპების გამარჯვებისათვის, ჩვენი ქვეყნების ხალხთა, სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და შეკავშირების, მთელი რევოლუციური ანტიიმპერიალისტური ძალების ფრონტის კონსოლიდაციის ინტერესებისათვის“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ხუთწლედის შრომითი რიტმი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, რომლებმაც გაზალეს სოციალისტური შრომა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისა და მეოცე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, 1970 წლის პირველ ნახევარში მოიკოფეს ახალი წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

რესპუბლიკის თითქმის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა მონაწილეობდა აპრილში მოწყობილ სრულიად საკავშირო კომუნისტურ საუბოტაჟო შაბათობაში, რომელმაც დიდი შრომითი აღმავლობით ჩაიარა.

I. მრეწველობა

გაჯანსაღებებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა. სამრეწველო წარმოების მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12 პროცენტი შეადინა.

მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქცია 1969 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა:

ელექტროენერგეტიკა	8 პროცენტით
საბობის მრეწველობა	10 „
შავი მეტალურგია	7 „
ფერადი მეტალურგია	31 „
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	13 „
მანქანათმშენებლობა და ლითონდამშავება	10 „
ხე-ტყის, ხისდამშუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	16 „
საშენ მასალათა მრეწველობა	13 „
მსუბუქი მრეწველობა	11 „
ტექდან საფეიქრო	9 „
კვების მრეწველობა	13 „
ტექდან:	
კარაქისა და ყველის	12 „
ღვინის	15 „
ჩაის	18 „
კონსერვის	8 „
თამბაქოს	13 „

ნახევარი წლის დამლევისათვის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობდა 800-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, რომლებმაც გამოუშვეს მთელი სამრეწველო პროდუქციის 84 პროცენტი და მიიღეს 83 პროცენტი მოგება.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას და წარმოების ზრდის ტემპებს ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1970 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1970 წლის პირველი ნახევარი პროცენტით 1969 წლის პირველ ნახევართან შედარებით
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველო	100,5	108
ხე-ტყისა და ხისდამშუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	104	119
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	100,8	113
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	102	110
კვების მრეწველობის სამინისტრო	106	113
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	114	112
ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტი	105	119
დამზადებათა სამინისტრო	111	117
აღგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	101	110

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ და წარმოების ზრდის ტემპებმა ქალაქ თბილისში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში შეადგინა:

	1970 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1970 წლის პირველი ნახევარი პროცენტით 1969 წლის პირველ ნახევართან შედარებით
ქალაქი თბილისი	103	108
აფხაზეთის ასსრ	108	110
აჭარის ასსრ	107	113
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	106	111

სამრეწველო პროდუქციის წარმოებას ნატურალური გამოხატულებით მთლიანად რესპუბლიკაში ასასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წარმოებულია 1970 წლის პირველ ნახევარში	1970 წლის პირველი ნახევარი პროცენტით 1969 წლის პირველ ნახევართან შედარებით
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიონი კილოვატ-საათი	4383	106
ქვანახშირი — ათასი ტონა	1126	98
მარგანეცის მადანი — ათასი ტონა	803	107
თუჯი — ათასი ტონა	391	96
ფოლადი — ათასი ტონა	721	105
ნაგლინი სულ — ათასი ტონა	594	118
ფოლადის მილები:		
მილიონი მეტრი	12	103
ათასი ტონა	233	107
კოქსი მთლიანი — ათასი ტონა	341	102
მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულები) — ათასი ტონა	265	115
სატვირთო ავტომობილები — ცალი	6566	103
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	1697	99,4
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	46	112
ცემენტი — ათასი ტონა	724	107
შიფერი — ათასი პირობითი ფილა	32956	123
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი	445	109
ქაღალდი — ტონა	17456	99,3
ავეჯი — ათასი მანეთისა	14720	111
პიანინოები — ცალი	1469	82
სარეცხი მანქანები — ცალი	80420	105
ბამბის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	26	100,7
შალის ქსოვილები — ათასი კვადრატული მეტრი	3853	99,7
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	17	120

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები

(დასასრული)

საბჭოთა მეურნეობას ერთხელაც არ შეუსრულებია მარცვლეულის დამზადების გეგმა, 84 მეურნეობას — რძისა, 64 მეურნეობას — ხორცისა. რამდენიმე წლის მანძილზე მარცვლეულის დამზადების დავალებას ვერ ასრულებს წყალენჯიხისა და თეთრი წყაროს რაიონების ბევრი მეურნეობა, ხორცის მიყიდვის დავალებას — ახალქალაქისა და ბოლნისის რაიონების მეურნეობები. წლობით ვერ ასრულებს რძის დამზადების გეგმას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 16 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

დამამზადებელ ორგანიზაციათა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში ჯერ კიდევ ფერხდება სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღება და გადამუშავება, უყაირათოდ ეკიდებიან მათს შენახვას.

საქართველოს კომპარტიის საოლქო და ბევრი რაიონული კომიტეტი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები სათანადო მომთხოვნელობით როდი ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების განხორციელებას; სათანადო მუშაობას არ ეწევიან, რათა კომუნისტებსა და სოფლის ყველა მშრომელს ჩაუნერგონ დავალებული საქმისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, პარტიისა და ხალხის წინაშე მოვალეობის შეგნება, რათა ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა; ურიგდებიან უყაირათობის, უდისციპლინობის, გეგმების შეუსრულებლობის, არადანიშნულებისამებრ მიწების გამოყენების ფაქტებს. სერიოზული ნაკლოვანებანია სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მოწონებულ და მიღებულ იქნას განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის დადგენილება „პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში“.

დაევალოს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, დამზადების, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს, „საქსოფლტექნიკას“, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტსა და მათს ადგილობრივ ორგანოებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების პარტიულ ორგანიზაციებსა და ხელმძღვანელებს უფრო ფართოდ გაშალონ ბრძოლა კოჰპლექსური მექანიზაციის, მიწების მელიორაციისა და ქიმიზაციის ყოველი ღონისძიების დანერგვის, სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში პარტიის პოლიტიკის განუხრელად განხორციელების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი დაჩქარებულა განვითარებისათვის; უზრუნველყონ ხუთწლიანი გეგმის დავალებების, სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს და მათს სოფლის მეურნეობის სამმართველოებს მომავალ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცონ მეჩიაიობის, მეციტრუსეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეთამბაქოობისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვა იმ დარგების შემდგომ განვითარებას, რომლებსაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ.

გაუმჯობესონ მიწებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაზარდონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას.

1971-1975 წლებში უზრუნველყონ მრავალწლიანი ნარგავების გაშენების გეგმების შესრულება. ახალ პლანტაციებში გააშენონ მხოლოდ ძვირფასი ჯიშების ვაზი, ხეხილი, ლიმონი და სხვა კულტურები. გააუმჯობესონ სანერგე მეურნეობათა მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფისათვის ჩაის პლანტაციების მომზადებასა და ჩაის საკრეფი მანქანების „საქართველოს“ მაქსიმალურ გამოყენებას.

განახორციელონ ყველა ღონისძიება, რათა მომავალ ხუთწლედში უზრუნველყონ მარცვლეულის მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება აგროტექნიკის მოთხოვნების ზუსტად შესრულების, სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა ეფექტიანი გამოყენების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენების საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სარწყავ მიწებზე მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას.

გააძლიერონ მუშაობა, რათა უახლოეს წლებში გაფართოვდეს ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება და დამზადების მოცულობა მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დამზადებული პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებას.

3. პლენუმმა მოითხოვს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისაგან, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსაგან, პარტიის აბაშის, ცხაკაიას, მარნეულის, თელავის რაიკომებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიასაბჭოების აღმასკომებისაგან, იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან, რომლებიც აწარმოებენ თამბაქოსა და ეთერზეთოვან ნედლეულს, ბოლო მოუღონ ჩამორჩენას ამ ძვირფასი კულტურების მოვლა-მოყვანისა და დამზადების საქმეში. განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი სათბურებისა და კვალსათბურების მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ახალი სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარებისათვის.

4. დაევალოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებსა და ხელმძღვანელებს ძირეულად გაუმჯობესონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობა, შექმნან მყარი საკვები ბაზა, გაზარდონ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა, ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება, შეამცირონ მათი თვითღირებულება და გადაიქციონ მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის რენტაბელურ დარგად.

უზრუნველყონ ყველა სახეობის საკვების — თივის, სილოსის, ძირხვენების, ბალახის ფხვნილის, კომბინირებული საკვების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოთხოვნილებანი.

5. მოწონებულ იქნას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება „1971-1975 წლებში საქართველოს სსრ საზოგადოებრივი მეფრინველეობის შემდგომი განვითარების შესახებ“, რომლითაც გათვალისწინებულია მეფრინველეობის ახალი ფაბრიკებისა და ფერმების დაჩქარებული მშენებლობა, მათი აღჭურვა უახლესი მოწყობილობით, რათა ხუთწლედის დამლევისათვის ფრინველის ხორცის წარმოება გაიზარდოს 20 ათას ტონამდე და კვერცხისა 500 მილიონ ცალამდე.

პლენუმი იწონებს აგრეთვე „თბილისგეირაბმშენისა“ და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლექტივების ინიციატივას, რომლებმაც გადაწყვიტეს ვაკამდე დაამთავრონ გორისა და კოდის მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, „საქსოფლტექნიკამ“ უზრუნველყონ ამ მშენებლობათა შეუფერხებელი დაფინანსება და საშენი მასალებითა და მოწყობილობით მომარაგება.

6. დაევალოს საქართველოს სსრ დამზადების, კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებს, „საქკონსერვხილბოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტსა და მათს ადგილობრივ ორგანოებს უზრუნველყონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სანიმუშო მიღება, შენახვა, გადამუშავება და რეალიზაცია, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დამზადებული პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებას.

7. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, „საქსოფლტექნიკასთან“, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებთან ერთად უზრუნველყოს სამელიორაციო სამუშაოთა გეგმების დროულად შესრულება და დადგენილ ვადებში სარწყავი და ამოსაშრობი სისტემების მშენებლობის დამთავრება.

გააძლიერონ კოლხეთის დაბლობის მიწების ამოშრობის, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის პირველი რიგის მშენებლობისა და რესპუბლიკის წყალსამეურნეო მშენებლობის სხვა უმნიშვნელოვანესი ობიექტების სამუშაოთა ტემპები და გაუმჯობესონ მათი ხარისხი.

გააუმჯობესონ და გააფართოონ სამელიორაციო მშენებლობის საწარმოო ბაზა, წყალსამეურნეო ორგანიზაციათა აღჭურვა საჭირო ტექნიკითა და მასალებით.

დააჩქარონ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მელიორირებული მიწების მოქცევა, უფრო რაციონალურად გამოიყენონ სარწყავი წყალი და მიაღწიონ სარწყავ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებას.

8. დაევალოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ მკვეთრად გაზარდოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დონე, განსაკუთრებით მეცხოველეობაში; შეამციროს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის ღირებულება, უკეთ მოამარაგოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მინერალური სასუქებით, შხამქიმიკატებით, ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, საშენი და სხვა მასალებით.

9. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის, მშენებლობის სამინისტროებმა და სხვა სამშენებლო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულება ყველა მაჩვენებლით და მათი დროული ამოქმედება.

გააუმჯობესონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი, აამაღლონ მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონე, გააფართოონ სამშენებლო ორგანიზაციათა ბაზა, ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენება და შრომის მოწინავე მეთოდები.

ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ საკოლმეურნეო-ბაღთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები, უზრუნველყონ ისინი შესაბამისი ტექნიკით, მოწყობილობით, ტრანსპორტის საშუალებებით, სამშენებლო მექანიზმებითა და მასალებით.

10. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დასახონ და განახორციელონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის კონკრეტული ღონისძიებანი; ულმობლად ებრძოლონ ფინანსური დისციპლინის ყოველნაირ დარღვევებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრების განიავებასა და დატაცებას.

დაგმონ ზოგიერთი კოლმეურნეობის არასწორი პრაქტიკა, რომლებიც წლითწლობით არ გადარიცხავენ სახსრებს განუყოფელ ფონდებში საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის.

11. დაევალოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილონ ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების სანერგიანობის საკითხი და დასახონ ღონისძიებანი, რომელთა შედეგად შესაძლებელი გახდება ამ მეურნეობათა ჩამორჩენის დაძლევა უმოკლეს ვადაში.

12. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენების საფუძველზე პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის შედგენაში.

13. პლენუმი იწონებს თბილისის საავიაციო, ჩარხსამშენებლო, ელმავალსამშენებლო ქარხნების, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნისა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო საწარმოთა ინიციატივას სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებით გაზარდონ მანქანების, მოწყობილობის, სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა წარმოება სოფლის მეურნეობისათვის.

დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამრეწველო სამინისტროებს, ქარხნების დირექტორებსა და პარტიულ ორგანიზაციებს გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი, რათა დამატებით გამოუშვან სასოფლო-სამეურნეო მანქანები, აგრეგატები და სათადარიგო ნაწილები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საკითხი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშაობის შესახებ და დასახოს ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოს ქარხნის მიერ მაღალხარისხოვანი მანქანების შეუფერხებელი გამოშვება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის.

14. ანიჭებს რა დიდ მნიშვნელობას სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარებას, მეცნიერებისა და წარმოების კავშირის განმტკიცებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს რესპუბლიკის სამეცნიერო საკავშირო ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს მეცნიერ მუშაკთა მთელი ძალღონე წარმართონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომწიფებული პრობლემების რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრისათვის, იმ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის გადიდებისათვის, რომლის მიზანია მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში.

15. პლენუმი ავალებს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს გააძლიერონ მუშაობა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრებთან, იზრუნონ მათი საქმიანი და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ბიჯითად იღვწოდნენ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ზრდიდნენ თვითეულ მუშაკს დავალებული საქმისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების სულისკვეთებით, ყოველი ღონისძიებით უწყობდნენ ხელს სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიის, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის განვითარებას; კიდევ უფრო ზრდიდნენ სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობასა და როლს, მის ეფექტიანობას, დაუცხრომლად აუმჯობესებდნენ შეჯიბრების ფორმებსა და მეთოდებს, ამ მიზნებისათვის ფართოდ იყენებდნენ იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის ყველა საშუალებას.

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს უფრო ფართოდ გაშალონ ბრძოლა რესპუბლიკის მრავალმხრივი სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარებისათვის, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობასა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

პლენუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, სათავეში ჩაუდგებიან რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობისა და ყველა მშრომელთა ბრძოლას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დარგში ახალი ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულებისათვის და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

26 ივლისი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

პ. ნ. კოსიგინმა მიიღო პერუს რესპუბლიკის ელჩი

24 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** კრემლში მიიღო პერუს რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **ხ. პერუს დე კუელიარი.**

ხ. პერეს დე კუელიარმა ა. ნ. კოსიგინს გადასცა პერუს პრეზიდენტის ხუან ველასკო ალვარადოს პირადი წერილი, რომელშიც პრეზიდენტი პერუს მთავრობისა და ხალხის სახელით დიდ მადლობას უხდის სსრ კავშირის მთავრობასა და საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ძმისათვის, რომ ეხმარებიან მიწისძვრისაგან დაზარალებულ პერუელ მოსახლეობას. საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა დახმარება ხელს შეუწყობს ცხოვრების ნორმალიზაციას რაიონებში, რომლებმაც სტიქიური უბედურება განიცადეს. (საკვლესი).

საზღვაო საზღვრების ფხიზელი გუშაგები

საზეიმო კრება მოსკოვში

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიეძღვნა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებისა და დედაქალაქის გარნიზონის მეომართა საზეიმო კრება, რომელიც 24 ივლისს გაიმართა საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში.

პრეზიდიუმში არიან — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები არმიის გენერალი ი. გ. პავლოვსკი, ავიაციის მარშალი პ. ს. კუტახოვი, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი ს. გ. გორშკოვი, არმიის გენერალი ს. ს. მარიახინი, საბჭოთა კავშირისა და ჯარების გვარეობათა მარშლები, ადმირალები, გენერლები, ოფიცრები და მატროსები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები.

კრებაზე გამოვიდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი ს. გ. გორშკოვი.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

დეკეშათა სააგენტოების ხელმძღვანელთა თათბირი

საბჭოთა კავშირის დეკეშათა სააგენტოში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების დეკეშათა სააგენტოების დირექტორებისა და საკავშირო განყოფილებათა გამგეების თათბირი. თათბირზე განხილულ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდასთან, აგრეთვე პრესაში პარტიის მომავალი XXIV ყრილობისათვის მზადების გაშუქებასთან.

თათბირის მონაწილეებს ესაუბრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებაში.

26 ივლისი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა. სამხედრო მეზღვაურებთან და გემთმშენებლებთან ერთად ამ ღირსშესანიშნავ დღეს მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალები, მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს.

3. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებით გამოწვეული დიდი პოლიტიკური აღმავლობის პირობებში სამხედრო მეზღვაურებმა წელს დიდი მანევრები მოაწყეს და საბრძოლო ოსტატობის სრულყოფაში კიდევ ერთი საფეხურით აიწიეს, გამოიწვრთნენ ზღვებსა და ოკეანეებში, ძმიმე ქარიშხალთან ლაშქრობებში. სამხედრო-საზღვაო მანევრები „ოკეანე“ პარტიისა და მთავრობისათვის ჩვენი მეზღვაურების მიერ ლენინის იუბილეს წელს ჩაბარებული საბრძოლო პატაკია თავიანთი საბრძოლო საქმეების შესახებ, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის შესახებ.

საბჭოთა სამხედრო მეზღვაურების წარმატებანი შემთხვევითი როდია, ვინაიდან ჩვენი ფლოტი მდიდარია სახელოვანი საბრძოლო და რევოლუციური ტრადიციებით.

განგუტთან და ჩესმასთან, კორფუსთან და სინოპთან რუსეთის ფლოტის შესანიშნავმა გამარჯვებებმა მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი რუსულ სამხედრო-საზღვაო ოსტატობას, იარაღსა და ხომალდების ეკიპაჟებს. ხალხის ხსოვნაში მუდამ უკვდავი იქნება რუსეთის ფლოტის სარდლების თ. უშაკოვის, პ. ნახიმოვის, ს. მაკაროვის და მრავალთა სხვათა გამარჯვებანი. რუსმა სამხედრო მეზღვაურებმა ვ. ბერინგმა, ა. ჩირიკოვმა, ძმებმა ლაპტევებმა, ს. ჩელიუსკინმა, მ. ლაზარევმა და სხვებმა აღმოაჩინეს ახალი კუნძულები და მიწები, მათ სახელებს ვხედავთ მსოფლიოს რუკებზე.

„ოქტომბრის რევოლუციის“ ორდენზე გამოსახულია ლეგენდარული კრეისერი „ავრორა“, რომელმაც თავისი გასროლით მსოფლიოს ხალხებს ამცნო, რომ დაიწყო სოციალიზმის ერა. ეს ისტორიული ამბავი მატროსებს შორის ბოლშევიკური პარტიის მუშაობის შედეგია, იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორია მდიდარია სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებით.

საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ზოგიერთი ისტორიული რევოლუციური ამბებიდან. დეკაბრისტთა აჯანყების თვალსაჩინო მონაწილეები ნ. ბესტუჟევი, ა. არბუზოვი და სხვები ფლოტის ოფიცრები იყვნენ. 1905 წელს აფრილდა წითელი დროშები აჯანყებულ „ვენსლავ „პოტიომკინზე“, შემდეგ კრეისერ „ოჩაკოვზე“ და შავი ზღვის სხვა ხომალდებზე. ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით ფლოტის ხომალდებზე მტკიცედ მოქმედებდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებშიც 1917 წლის ოქტომბრისათვის 16 ათასამდე კაცი ითვლებოდა. ეს დიდი ძალა იყო, რომელსაც პარტია ეყრდნობოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში.

ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ სამხედრო მეზღვაურთა აბსოლუტური უმრავლესობა მის მხარეზე დადგა და ყველა ფრონტზე აქტიურად იცავდა სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრებს.

დიდი სამამულო ომი მძიმე გამოცდა იყო საბჭოთა ხალხისათვის, საბჭოთა არმიისა და ფლოტისათვის. ჩვენი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტები სახმელეთო ჯარებთან ერთად მტკიცედ იცავდნენ სამშობლო მიწა-წყალს.

დიდი სამამულო ომის ჭარბეცხლში საბჭოთა მეზღვაურებმა უშკნობი სახელი მოიხვეჭეს. ოდესისა და სევასტოპოლის, ლენინგრადისა და საბჭოთა ბალტიკა-პოლარეთის, კუნძულ ხანკოს გმირული დაცვა გახდა ნიმუში, აღმაფრთოვანებელი მაგალითი მამაცობისა და გმირობისა მტერზე ბრძოლაში. წყალზე და წყალქვეშა სიღრმეებში, ხმელეთზე და ჰაერში, მცხუნვარე სამხრეთსა და მკაცრ ჩრდილოეთში — ყველგან საბჭოთა სამხედრო მეზღვაურები იბრძოდნენ მტაცებელ დ მამაცურად, სახტიკ დარტყმებს აყენებდნენ მტერს.

ძლევამოსილი ომის შემდეგ ძირეულად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ. მაგრამ იმპერიალისტებს ხელს არ აძლევს ასეთი ცვლილება, ამმაფრთოვანებელი მაგალითი მამაცობისა და გმირობისა მტერზე ფაშისტა წინააღმდეგ ბრძოლაში. წყალზე და წყალქვეშა სიღრმეებში, ხმელეთზე და ჰაერში, მცხუნვარე სამხრეთსა და მკაცრ ჩრდილოეთში — ყველგან საბჭოთა სამხედრო მეზღვაურები იბრძოდნენ მტაცებელ დ მამაცურად, სახტიკ დარტყმებს აყენებდნენ მტერს.

ძლევამოსილი ომის შემდეგ ძირეულად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ. მაგრამ იმპერიალისტებს ხელს არ აძლევს ასეთი ცვლილება, ამმაფრთოვანებელი მაგალითი მამაცობისა და გმირობისა მტერზე ფაშისტა წინააღმდეგ ბრძოლაში. წყალზე და წყალქვეშა ნავები, რომლებიც აღჭურვილი არიან ბირეტებით, ბომბებით, ტორპედოებით, ბალისტიკური ტორპედოებით, ატომური ელექტროსადგურებით, ატომურ ელექტროსადგურებიანი ნავები, ატომურ ელექტროსადგურებიანი ნავები, ატომურ ელექტროსადგურებიანი ნავები

მთავარია ადამიანების მოსასურება

დღესასწაულობენ ვაჭრობის მუშაკები

24 ივლისს ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში გაიმართა ვაჭრობის მუშაკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

დარბაზში არიან პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრება გახსნა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ვ. ზ. თოხაძემ.

მოხსენება ვაჭრობის მუშაკის დღის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ მ. ა. შიხაშვილმა. (სხვდეს).

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს „ვაჭრობის მუშაკის დღეს". ამ დღესასწაულის დაწესება კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა იმისა, თუ როგორ დიდად აფასებენ ჩვენი პარტია და მთავრობა ვაჭრობის როლს, როგორც სახალხო მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგისა, ურომლისოდაც შეუძლებელია მოსახლეობა უზრუნველყოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მრავალრიცხოვანი პროდუქტებით.

ტრადიციად იქცა, „ვაჭრობის მუშაკის დღე" ჩვენებართთ იმ ნიშნით, რომ თვალი გადაავლოთ განვლილ მუშაობას, ყურადღება გავამახვილოთ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე.

საბჭოთა ხალხი დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ჩაება სკკპ მორიგი XXIV ყრილობის დირსეულად შესახვედრად გაშლილ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ყრილობისათვის მზადების პერიოდი ემთხვევა ჩვენი რესპუბლიკის მზადებას თავისი ეროვნული დღესასწაულისათვის — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავისათვის.

უბრალოდ ჩამოთვლაც კი ძნელია იმ დიდი გარდაქმნებისა და მიღწევებისა, რაც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამეურნეო და კულტურული შენებლობის ყველა დარგში. ამ დიდმა მიღწევებმა გამოხატულება ჰპოვა ვაჭრობის განვითარების საქმეშიც. ვაჭრობა, ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვითარდა.

ქვეყანა პატივს სცემს იმათ, ვინც დგას დახლთან, მიდის ყანებსა და პლანტაციებში აგტოდახლითა და მძრავი სასადილოთი, შრომობს ქურასთან, ზის საღაროს აპარატთან, ემსახურება სტუმრებს რესტორანში, პატივს სცემს საქონლმცოდნეებს, ეკონომისტებს, ბუღალტრებს, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს — ყველას, ვინც მუშაობს სახალხო მეურნეობის ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგში, როგორიც საბჭოთა ვაჭრობაა.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ვაჭრობა გადაიქცა სოციალისტური მეურნეობის მძლავრ დარგად. ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს რესპუბლიკაში მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ამაზე ყველაზე უკეთ მეტყველებენ ციფრები. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის 385 წყვრილი საწარმო იყო სსქართველოში 1923 წელს. ახლა კი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში არის 20 ათასზე მეტი სამრეწველო საქონლისა და სასუნსათო მაღაზია, სასადილო, კაფე, რესტორანი.

ამ ციფრების მიღმა დგას უდიდესი თვისებრივი ცვლილებები. ნახევრად ბნელი დუქნები შეიცვალეს თანამედროვე არქიტექტურის მაღაზიების, უნიფორმაღლის, სასადილოებისა და რესტორნების ვრცელმა ნაირფერმა შენობებმა. მეტი წილი აღეშენებოდა უახლესი მოწყობილობით, აქვს კარგი საწყობები, მაცივრები და სხვ.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება, მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის და სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ზრდა დადებით გავლენას ახდენს საქონლბრუნვის განვითარებასა და მისი სტრუქტურის გაუმჯობესებაზე. ამ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონლბრუნვა 65-ჯერ გაიზარდა. ვაჭრობის მუშაკებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და 1969 წლის საქონლბრუნვის გეგმა დამატებით დავალებასთან ერთად 100,2 პროცენტით შეასრულეს. ამ მხრივ საქართველოს რესპუბლიკა ერთადერთია მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას გეგმის გადამეტებით მიეყიდა 25 მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელი.

სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკები აფართოებენ თავიანთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, თბილისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, თელავსა და სხვა ქალაქებში გაიხსნა კეთილმოწყობილი უნივერმაღები. თბილისში ამუშავდა ცვლაში 8 ტონა სიმძლავრის ნაყინის ფაბრიკა, თბილისელებსა და საქართველოს დედაქალაქის სტუმართა შორის დიდად პოპულარულია რესტორანი „არაგვი", რომელიც ახლახან ჩადგა მწყობრში. მის დარბაზებში ერთდროულად 800-ზე მეტი კაცი ეტევა. აქ ეწყობა კონცერტები, შეხვედრები, ბანკეტები, რესტორნის შენობა თავისი არქიტექტურით ორიგინალურია და ამშვენებს ქალაქს.

რესთავეოლის პროსპექტის დასაწყისში შენდება 450 სამუშაო ადგილისათვის გათვალისწინებული უნივერსალური მაღაზია. ეს იქნება თვითმომსახურების მეთოდით მომუშავე სამრეწველო საქონლის უდიდესი სავაჭრო საწარმო. მეტალურგთა ქალაქ რუსთავში მწყობრში ჩადგება საჩვენებელი სასუსრათო მაღაზია, რომელიც თვითმომსახურების მეთოდით იმუშავებს.

დიდი ცვლილებანი ხდება ამჟამად სოფლადაც. იბრძვიან რა სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის, ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე კოოპერატორებმა სოფლად ააშენეს 1.400 ახალი ობიექტი, აქედან 333 რესტორანი და სასადილო.

წულუკიძეში, გარდაბანსა და მანგლისში გაიხსნა ახალი სავაჭრო-ცენტრები. ერთ ბერეტელში განლაგდნენ უნივერსალური მაღაზია, კაფე-რესტორანი, ნახევარფაბრიკატებისა და საკონდიტრო ნაწარმის მაღაზია, ლიმონათის საამქრო, მაცივარი. თვითეული საწარმო, ტიპობრივი პროდუქტების მიუხედავად, თავისებურია, კოლორიტული.

განაგრძობს რა საიუბილეო ლენინურ შრომითს ვასტს, რესპუბლიკის ვაჭრობის მუშაკთა 110-ათასანმა არმიამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საქონლბრუნვის გეგმა დამატებით დავალებასთან ერთად 101,5 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით მოსახლეობას მიეყიდა 18,5 მილიონი მანეთის სასურსათო და სამრეწველო საქონელი. წლის პირველი ნახევრის საქონელბრუნვის გეგმა 102,6 პროცენტით შესრულდა, გეგმის ზევით გაყიდულია 26,5 მილიონი მანეთის საქონელი.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საქონელბრუნვა 9,3 პროცენტით გაიზარდა და მისი ზრდის ტემპმა მნიშვნელოვნად გაუსწრო მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდის ტემპს. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს დავალებანი „საქიმეგალირაჭრობის" (დირექტორი ნ. დონაძე), „საქსპორტგაჭრობის" (დირექტორი ა. პაიჭაძე), ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოს (უფროსი ი. ბოკერია), ქალაქ თბილისის საცალო სავაჭრო საწარმოების სამმართველოს (დირექტორი ნ. ბიბილეიშვილი), ტრესტ „საქმტარის" (მმართველი რ. შენგელია), ახალციხის რაიკოოპკავშირის (გამგეობის თავმჯდომარე ვ. ზაქროშვილი), ახმეტის რაიკოოპკავშირის (გამგეობის თავმჯდომარე ფ. აბულაძე), წყალტუბოს რაიკოოპკავშირის (გამგეობის თავმჯდომარე გ. კუბალეიშვილი), ბორჯომის რაიკოოპკავშირის (გამგეობის თავმჯდომარე ვ. ლომიძე), წითელწყაროს რაიკოოპკავშირის (გამგეობის თავმჯდომარე ო. დათუკიშვილი) და სხვათა კოლექტივებმა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა სავაჭრო ორგანიზაცია როდი ასრულებს საქონლბრუნვის გეგმებსა და ვალდებულებებს. მათ უფრო ენერგიულად, ოპერატიულად უნდა ეძიონ დამატებითი სასაქონლო რესურსები, მკვეთრად გაუმჯობესონ თავიანთი საწარმოების მუშაობა, დარაზმონ ვაჭრობის მუშაკები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა ნაწარმის ხარისხის, ასორტიმენტის, მისი გაფორმების საკითხებს. ვაჭრობის მუშაკები ამას საკმაო ყურადღებას არ უთმობენ, ჯეროვნად არ იყენებენ ცოდი ხარისხის საქონლის მიღების შეწყვეტის უფლებას, სანქციებსა და პრეწველობაზე ეკონომიური ზემოქმედების სხვა ღონისძიებებს.

სწრაფი ტემპით ვითარდება საზოგადოებრივი კვება. თუ წინათ მისი მომსახურებით სარგებლობდა მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი, ახლა ბევრი ოჯახი სარგებლობს სასადილოს, სასაუზმის, რესტორნის, ბუფეტის, მომსახურებით. მაგრამ კერძების ხარისხი ყოველთვის კარგი რდია, ვერც მომსახურება გვაკმაყოფილებს. ეს მომზმარბელთა სამართლიან საყვედურს იწვევს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ უფრო სწრაფად აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილად საამაყოა ის მაღალი შეფასება, რომელიც ჩვენმა მზარეულებმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეების ჩატარებისას დაიმსახურეს; აქ მათ სხვადასხვა ქალაქების მოსახლეობას უჩვენეს ქართული სამზარეულოს საუკეთესო ნიმუშები.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ გავაღრმაოთ ჩვენი ცოდნა სამეურნეო ხელმძღვანელობის დარგში, მიგაღწიოთ მაღალ ეკონომიურ ეფექტურობას მუშაობაში, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, განვაზოგადოთ მოწინაოვთა გამოცდილება.

რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებში დიდი გამომსმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოსა და საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა სასაღსო ნეულნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ. აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით ვაჭრობაში უკვე განსორციელდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და ამ მიმართულებით დიდი მუშაობა გვმართებს.

მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხების მაღალ დონეზე დაყენებას. ადგილი წარმოსადგენია თუ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 20 ათასზე მეტ საწარმოში ყოველდღიურად რამდენი მომხმარებელი შედის და რაოდენ ფართოა მოსახლეობასთან ვაჭრობის მუშაკთა ყოველდღიური კონტაქტები. ამიტომ ვაჭრობის მუშაკები ყოველთვის უნდა ცდილობდნენ საუკეთესოდ მოემსახუროს მყიდველებს. აუცილებელია, რომ ვაჭრობის ყველა მუშაკი ღრმად იყოს გამბედავლული ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით და იცოდეს, რომ მისი მუშაობა არანაკლებ საპასუხისმგებლო და საპატიოა, ვიდრე სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის მუშაკებისა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ნაწილი სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკებისა, სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე, დაბალ დონეზე ემსახურებიან მომხმარებლებს, ვერ ასრულებენ საქონელბრუნვის გეგმებს და სხვა საგეგმო მაჩვენებლებს; უხეშად ექცევიან მყიდველებს, უშვებენ ვაჭრობის, სანიტარიის, ჰიგიენის წესების დარღვევებს.

სავაჭრო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი კვების ტრესტების, ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა და აპარატმა უფრო ღრმად უნდა ჩაიხედონ თვითეული სავაჭრო ობიექტის საქმიანობაში და დაამყარონ იქ სანიმუშო წესრიგი.

ძირითადი დეფიცი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხებში, არის: „დაგზოგოთ მყიდველის დრო". ეს ამოცანა რომ განვახორციელოთ, აუცილებლად ყოველმხრივ გავაფართოოთ ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართოდ დავნერგოთ ვაჭრობისა და მომსახურების პროგრესული მეთოდები, მოსახლეობის მომსახურების სხვადასხვა დამატებითი სახეები, გადაჭრით ავამაღლოთ იმ მუშაკთა კვალიფიკაცია და კულტურის დონე, რომლებიც უშუალოდ მყიდველებს ემსახურებიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამა სოფლის მშრომელებს აღაფრთოვანებენ ახალი დიდი საქმეებისათვის. ამ დღეებში, რიგა მიმდინარეობს მასობრივი მკა, ჩაის კრეფა, საკვების დამზადება და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, საქართველოს სამმხმარებლო კოოპერაციის მოწინავე კოლექტივები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ უზრუნველყონ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობების მუშები იხილი ვერძებით უშიაოდ მინდვრად

ვაჭრობის განვითარებასა და დაუმჯობესებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიური რეფორმა. იგი ფართო შესაძლებლობას უსახავს კიმერციულ ინიციატივის, საწარმოს მართვაში დამოუკიდებლობის გამოვლენებისათვის. მაგრამ ეს შესაძლებლობანი უფრო სრულად რომ გამოიყენონთ, საჭიროა სრულყოფთ ეკონომიური შუშაობა, დავნერგოთ ვაჭრობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია.

პარტია და მთავრობა ყოველდღიურ ყურადღებას უთმობენ ვაჭრობის განვითარებასა და სრულყოფას, დიდად აფასებენ მისი მუშაკების შრომას. ბევრი მათგანი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, მინიჭებული აქვთ „ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდება. ვაჭრობის მუშაკთა ფიგურალობაა ღირსეული საქმეებით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობასა და ჩვენი რესპუბლიკის ნაგვარსაუკუნოვან იუბილეს.

ვ. თოხაძე,
საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.

რევაზ იაკობის-ძე ფრუიძე

მოულოდნელად გარდაცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის თავმჯდომარე **რევაზ იაკობის-ძე ფრუიძე.**

რ. ი. ფრუიძე დაიბადა 1923 წლის აპრილში თბილისში. 1941 წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე. დაჭრის შემდეგ 1943 წელს მუშაობდა თბილისის საავიაციო ქარხანაში, საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოში. 1947 წელს რ. ი. ფრუიძე შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

რ. ი. ფრუიძე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, პარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველ მდივნად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1965 წლიდან რ. ი. ფრუიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი იყო. 1970 წლის აპრილში რ. ი. ფრუიძე დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად.

ნიჭიერი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი რ. ი. ფრუიძე მთელ ძალ-ღონეს, ენერგიას, ცოდნას აბმარდა პარტიისა და ხალხის საქმის სამსახურს, რესპუბლიკის მშრომელთა შორის იგი დამსახურებული და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

რ. ი. ფრუიძე არაერთხელ ყოფილა არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო სსრ კავშირის მეექვსე და მერვე მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის რ. ი. ფრუიძე დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით.

პარტიისა და ხალხის ერთგული შვილის, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, მომხიბვლელი და თავმდაბალი ადამიანის, პრინციპული კომუნისტის რ. ი. ფრუიძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა საქართველოს მშრომელთა გულში.

ნ. ვ. პოდგორნი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მეტავანაძე, მ. ს. სოლომენცევი, ი. ს. ნასრიდინოვა, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯაფახიშვილი, მ. პ. გიორგაძე, ა. ა. გრომიკო, პ. ვ. კოვანოვი, კ. ა. როდიონოვი, შ. ი. ბანუშაძე, მ. ა. გოგიჩაიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, შ. დ. კიკნაძე, ი. დ. ართმელაძე.

ხუთწლედის შრომითი რიტმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

	1969 წ.	1970 წ.	1970 წ. პროცენტებით 1969 წლისადმი
წინდები — ათასი წყვილი	8301	111	
ტრიკოტაჟის საცვალი — ათასი ცალი	10389	107	
ზედა ტრიკოტაჟი — ათასი ცალი	4516	110	
ტყავის ფეხსაცმელი — ათასი წყვილი	7402	110	
ხორცი* — ტონა	15342	108	
ყველი* — ტონა	6656	107	
კონსერვები — ათასი პირობითი ქილა	29223	116	
მარგარინის ნაწარმი — ტონა	7612	103	
კარაქი* — ტონა	408	101	
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — ათასი ტონა	53	119	
ჩაი ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული — ტონა	10444	90	
ყურძნის ღვინო* — ათასი დეკალიტრი	6691	106	
შამპანური — ათასი ბოთლი	4967	110	
ბაპიროსი და სიგარეტი — მილიონი ცალი	7622	121	

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წარმოებულია მეტი: ელექტროენერგია — 266 მილიონი კილოვატ-საათი, ფოლადი — 37 ათასი ტონა, მარგანეცის მადანი — 56 ათასი ტონა, ნაგლინი — 89 ათასი ტონა, ფოლადის მილები — 14 ათას ტონაზე მეტი, მინერალური სასუქები (პირობითი ეროვნული) — 35 ათას ტონაზე მეტი, სამაგისტრალო ელმავლები — 5 ცალი, სატვირთო ავტომობილები — 165 ცალი, ცემენტი — 45 ათასი ტონა.

ამავე პერიოდში სახალხო მოხმარების საქონელი წარმოებულია მეტი: ყველა სახეობის ქსოვილები — 3 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი, წინდები — 819 ათასი წყვილი, ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი — 1056 ათასი ცალი, სარეცხი მანქანები — 4180 ცალი, ავეჯი — 1768 ათასი მანეთისა.

კიდევ უფრო გაუმჯობესდა საწარმოთა მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა სათბობის ხვედრითი ხარჯვა ერთ კილოვატ-საათ ელექტროენერგიაზე. ცემენტის მრეწველობაში გაიზარდა მბრუნავი ღუმელებისა და წისქვილების საათობრივი წარმადობა. საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში გაიზარდა სართავი და საქსოვი მოწყობილობის წარმადობა.

შრომის ნაყოფიერება 1969 წლის პირველ ნახევართან შედარებით მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში გაიზარდა 11 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად მიღებულია პროდუქციის მთელი მატების 92 პროცენტი.

მოგება მთელ სახალხო მეურნეობაში გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 20 პროცენტით და უფრო მეტად, აქედან მრეწველობაში — დაახლოებით 15 პროცენტით.

თუმცა მრეწველობამ ნახევარი წლის გეგმა მთლიანად შეასრულა, მაგრამ ცალკეულმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერებისა და მოგების გადიდების გეგმები.

სამეცნიერო-საცვლევი, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და საწარმოები მუშაობდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის. მეცნიერულ გამოკვლევათა და საპროექტო-საკონსტრუქტორო წინადადებათა შედეგების გამოყენების საფუძველზე სამრეწველო საწარმოებმა ათთვისეს მთელ რიგ ახალ სახეობათა ნაწარმებს, ხელსაწყოებისა და მასალების წარმოება, ინერგებოდა პროგრესული ტექნიკური პროცესები, წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. სახალხო მეურნეობაში დაინერგა დაახლოებით 8 ათასი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც 12 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა ერთ წელზე გაანგარიშებით.

ამასთან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის გეგმა მთლიანად ვერ შეასრულეს მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა.

II. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა წარმატებით შეასრულეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები და უზრუნველყვეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შესრულება. მეტი, ვიდრე დასახული იყო, დათესილია ზორბალი, სიმინდი, ლობიო, ბოსტნეული, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი და მრავალწლიანი ბალახები.

მთელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესმა წართობებმა რესპუბლიკაში შეადგინა 735,4 ათასი ჰექტარი. მარცვლეულის ნათესებს უჭირავს 415,9 ათასი ჰექტარი, ანუ 2,4 ათასი ჰექტარით მეტი; ვიდრე გასულ წელს. სამარცვლე სიმინდის ნათესები გადიდდა 21,1 ათასი ჰექტარით, ანუ 11 პროცენტით, ხოლო ბოსტნეულის ნათესები — 1,4 ათასი ჰექტარით, ანუ 6 პროცენტით.

1 ივლისისათვის მარცვლეული და სამარცვლე პარკოსნები აღებულია 51,7 ათას ჰექტარზე, ანუ 2-ჯერ მეტი, ვიდრე 1969 წლის ამავე პერიოდისათვის; შეტეხილია 2.313 ათასი ზონარმტერი თამბაქო, ანუ 5-ჯერ მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

* კოლმეურნეობათა წარმოებისა და მოსახლეობის მინწარმოების გარდა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიშენდა 936 ჰექტარი ხეხილის ბაღები, 214 ჰექტარი ვენახები, 26 ჰექტარი — ციტრუსოვანთა ნარგავები, 343 ჰექტარი ჩაის ნარგავები, 24 ჰექტარი დაფნის ნარგავები.

გაიშალა თიბვისა და საკვების დამზადების სამუშაოები.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებით:

1 ივლისისათვის (ათასი სული)

	1969 წ.	1970 წ.	1970 წ. პროცენტებით 1969 წლისადმი
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	612,4	624,5	102
აქედან ძროხა და ფურ-კამეჩი	163,3	168,6	103
ღორი	198,5	237,6	120
ცხვარი და თხა	1402,0	1571,9	112
ფრინველი	3246,3	3620,5	111,5

რძისა და კვერცხის წარმოების ზრდასთან ერთად გადიდდა ძროხების საშუალო წველადობა და ფრინველის საშუალო კვერცხმდებლობა.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვამ მეურნეობათა ყველა კატეგორიაში შეადგინა:

წლის პირველი ნახევარი

	1969 წ.	1970 წ.	1970 წ. პროცენტებით 1969 წლისადმი
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა) — ათასი ტონა	24,0	28,1	109
რძე — ათასი ტონა	84,5	89,3	106
კვერცხი — მილიონი ცალი	76,5	92,7	121
მატყლი — ათასი ცენტნერი	22,3	21,4	96

პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 124 პროცენტით, რძისა — 111 პროცენტით, კვერცხისა — 127 პროცენტით, მატყლისა — 107 პროცენტით.

გაიზარდა სახელმწიფოსათვის მისაყიდი პირუტყვის საშუალო წონა და ნაკვეთობა. ამასთან მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდის ტემპები მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ დაბალია; ნელა იზრდება პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა.

ბრძოლდებოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით. ნახევარი წლის მანძილზე სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალურმა დაბანდებებმა სოფლის მეურნეობაში შეადგინა 81,2 მილიონი მანეთი, ანუ 16 პროცენტით მეტი, ვიდრე 1969 წლის პირველ ნახევარში. სოფლის მეურნეობამ მიიღო: 1412 ტრაქტორი — ფიზიკური ეროვნული, 503 სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 80 მარცვლის ასაღები კომბაინი, 1184 ტრაქტორის გუთანი, 279 სათესი მანქანა, 611 კულტივატორი, 530 სამკელი მანქანა, 218 ფოცხი, 84 უნივერსალური სატვირთავი, 214 მინერალური სასუქების მომბნევი, 111 ასაკრეფი მანქანა-წნები, 84 დასაწვიმებელი მანქანა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის 255 ათასი ტონა მინერალური სასუქები პირობითი გაანგარიშებით, რაც 40 ათასი ტონით მეტია, ვიდრე 1969 წლის პირველ ნახევარში.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთის გაგზავნის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, აქედან ქვანახშირისა — 106 პროცენტით, ნავთობისა — 130 პროცენტით, შავი ლითონებისა — 102 პროცენტით, ყოველგვარი მადნისა — 107 პროცენტით, მინერალური სასუქებისა — 84 პროცენტით. 1969 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაგზავნილი ტვირთის მოცულობა 7 პროცენტით გადიდდა.

ვაგონების საშუალო სადღეღამისო დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვისა — 99,5 პროცენტით. 1969 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სატვირთო მატარებლების სიჩქარე გაიზარდა 2 პროცენტით, სატვირთო ვაგონების ბრუნვის საშუალო დრო — 16 პროცენტით, ერთი ტექნიკური სადგურში ვაგონების ნოცდენის საშუალო დრო შემცირდა 13 პროცენტით, ერთი სატვირთო ოპერაციისათვის ვაგონის დგომა — 12 პროცენტით.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამრეწველო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა 1970 წლის პირველ ნახევარში გადაზიდა 42 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი, ამასთან გავლილია 613 მილიონი ტონა კილომეტრი. ტვირთზიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, ტვირთბრუნვისა — 107 პროცენტით. 1969 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ტვირთზიდვა გადიდდა 8 პროცენტით, ხოლო ტვირთბრუნვა გაიზარდა — 14 პროცენტით.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტობუსებმა წლის პირველ ნახევარში გადაიყვანეს 222 მილიონი მგზავრი და გაიარეს 1767 მილიონი მგზავრ-კილომეტრი. მგზავრთა გადაყვანის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, მგზავრბრუნვისა — 104 პროცენტით. 1969 წლის პირველ ნახევართან შედარებით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 8 პროცენტით, მგზავრთბრუნვა — 7 პროცენტით.

მსუბუქი ტაქსომტორების ფასიანი გარბენის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით. 1969 წლის პირველ ნახევართან შედარებათ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა გადიდდა 17 პროცენტით.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საკავშირო ტრანსპორტით 1970 წლის პირველ ნახევარში. გადაყვანილია 710 ათასი მგზავრი და შესრულებულია 807 მილიონი მგზავრ-კილომეტრი. 1969 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ავიატრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 18 პროცენტით, ხოლო მგზავრთბრუნვა 13 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანის 1970 წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით, მგზავრთბრუნვისა — 108 პროცენტით.

ნახევარი წლის მანძილზე თბილისის მეტროპოლიტენით გადაყვანილია 37,7 მილიონი მგზავრი, ანუ 10 პროცენტით მეტი, ვიდრე 1969 წლის შესაბამის პერიოდში.

საავტომობილო გზების სამინისტრომ საავტომობილო გზების (ადგილობრივი გზების გარდა) რემონტის ნახევარი წლის გეგმა სარკთაღრიცხვის ფასებში შესრულა 101 პროცენტით, მათ შორის კაპიტალური რემონტისა — 100,5 პროცენტით, საშუალო რემონტისა — 104 პროცენტით. 1969 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რესპუბლიკის გზების რემონტის (კაპიტალური და საშუალო) მოცულობა გაიზარდა 38 პროცენტით.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ 1970 წლის პირველი ნახევრის შემოსავლის გეგმა შეასრულა 98 პროცენტით, მათ შორის საფოსტო კავშირგაბმულობაში — 99 პროცენტით, სატელეგრაფო კავშირგაბმულობაში — 79

26 ივლისი კუბის ეროვნული აჯანყების დღეა



თავისუფლების ნიშანსვეტი

ისტორიული ფაქტია: კუბის ქალაქ სანტიაგო-დე კუბის მონკადის ყაზარმის შტურმი 1953 წლის 26 ივლისს იყო ამ კუნძულზე მცხოვრები ხალხის ნახევარსაუკუნოვანი ტანჯვა-ვაების, უკმაყოფილების კულმინაცია და მან დასაბამი მისცა საყოველთაოსახალხო რევოლუციას.

კიდევ ცოტაოდენი ისტორია. ესპანელი დამპყრობლების უღელქვეშ მგმინავი კუბელები არაერთხელ აჯანყებულან თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ. ისტორიაში ჩაწერილია 1868 წლის აჯანყება კარლოს მანუელ დე სესპედესის მეთაურობით, 1895 წელს კვლავ შეიარაღებული გამოსვლა, რომლის სულისჩამდგმელი კუბის ეროვნული გმირი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე ხოსე მარტი იყო. დაიღვარა სისხლი, ხალხმა გაიღო მსხვერპლი, მაგრამ თავისუფლება ვერ მოიპოვა.

და კიდევ ერთი თარიღი: 1902 წლის 20 მაისი, როცა კუნძულიდან განდევნილ იქნენ ესპანელი მომხდურნი და კუბელმა ხალხმა ფიქტიური რესპუბლიკის დაბადება იზეიმა.

ფიქტიური იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელმაც ვითომდა გადამწყვეტი დახმარება გაუწია კუბელებს ესპანელებთან ბრძოლაში, კუბა თავის პროტექტორატად აქცია. 1902 წელს იმის ნაცვლად, რომ ომში გამარჯვებით კუბას ესპანური კოლონიალიზმისათვის თავი დაეღწია და სუვერენული, დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამხდარიყო, მას იანკების კოლონიალისტურ უღელში გააყოფინეს თავი, რომლის აპეურებდ ამერიკელ იმპერიალისტთა დამჭაშნ დიქტატორ ბატისტას მისცეს ხელში.

და მას შემდეგ ხუთი ათეული წლის მანძილზე კუბელი ხალხი მწვავედ გრძნობდა ამ უღლის სიმძიმეს. იმპერიალისტური ომის შემდეგ ეს ნაბიჯი გაიარეს ბედმარეობის და გაამწვავებს ინგლისელ მუშათა ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის.

ქამთა სვლამ ხალხი, განსაკუთრებით მისი მოწინავე ფენები, დაარწმუნა იმაში, რომ ჩრდილოეთის ბორკილს ახსნა არ ეწერა და რომ კრიზისიდან თავის დაღწევა შეიძლებოდა მხოლოდ საკუთარი ძალების მობილიზაციით, მხოლოდ რევოლუციით.

და ხალხი არ შემცდარა, იმ რევოლუციური გზით, რომელიც 1953 წლის 26 ივლისს სანტიაგო-დე კუბაში მონკადის ყაზარმებში ბატისტას ჯარისკაცთა ამოქუქვით დაიწყო, და რომელიც ფიდელ კასტრომ და მისმა მამაცმა თანამებრძოლებმა გაგვიგლეს, ამ პატარა კუნძულზე ჭეშმარიტი თავისუფლება მოვიდა.

ეს გზა კვლავ გრძელდება, მაგრამ იგი უკვლო როდია. ამერიკის იმპერიალიზმი, რომლის თვალსა და ხელს შუა კარიბის ზღვაში სოციალიზმის ყლორტი აღმოცენდა, ცდილობს აგრესიული პოლიტიკური და ეკონომიური ბლოკეებით შეაფერხოს მისი ზრდა-განვითარება.

ხდება პირიქით — თავისუფალი კუბელი ხალხი იმპერიალისტთა ყოველგვარ ხრიკებს ახალი საზოგადოების მშენებლობაში მიღწეული წარმატებებით უპასუხებს.

რევოლუციური მთავრობის უკვე პირველმა ნაბიჯებმა — ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მსხვილი და საშუალო საწარმოების ნაციონალიზაციამ ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების წყარო საფუძველი შექმნა. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ სახელმწიფო სექტორში შრომაში ჩაება 600 ათასი უმუშევარი, რომლებსაც ადრე ალაბეედად ნაშვები ლუკმაპურით გაჰქონდათ თავი.

თავისუფლების კუნძულზე განხორციელებულ გარდაქმნებს როგორც სოფლად, ისე ქალაქად კუბელი კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში და ქვეყნის ეკონომიკის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დარგში დასახული ამოცანების შესრულებისათვის დარაზმეს მშრომელები.

რადიკალური ღონისძიებები განხორციელდა საყოველთაო განათლების დარგში, რაც რევოლუციამდე საეალო მდგომარეობაში იყო. — მოსახლეობის 37,5 პროცენტმა წერა-კითხვა არ იცოდა, ხოლო სოფლის მკვიდრთა 70 პროცენტს სკოლაში სიარულის საშუალება არა ჰქონდა.

დღეს სიმბოლურად ყოერს ის ფაქტი, რომ ყოფილი დიქტატორის ყაზარმებში ნორრი კუბელი მოსწავლეები ცოდნას ეწაფებიან. სახელმწიფოში შეიქმნა საშუალო და უმაღლესი განათლების კერათა ფართო ქსელი, რომელიც ამზადებს კადრებს ქვეყნის მზარდი სახალხო მეურნეობისათვის.

ამ ხუთიოდე წლის წინათ ჰავანაში სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრიც კი შეიქმნა, რომლის ამოცანასაც შეადგენს სამეცნიერო კადრების მომზადება უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისათვის, აგრეთვე გამოკვლევების ჩატარება მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში, განსაკუთრებით შაქრის მრეწველობასა და მეცხოველეობაში.

დიდი ყურადღება ეთმობა ხალხის ფიზიკურ პოტენციას. ამიტომ ჯანმრთელობის დაცვის საქმე კუბის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია.

კუბის რევოლუციას, მის თავისუფლებასა და მომავალს ერთგული მეგობრები ჰყავს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის სახით.

თვითეულ კუბელს, ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ღრმად სწამს, რომ საბჭოთა კავშირის ერთგულება მათი მონა-პოვრებისადმი ჭეშმარიტად ძმური, უანგარო და სოციალისტურია.

წლების მანძილზე ნაყოფიერად ვითარდება ყველა სოციალისტური ქვეყნის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა თავისუფლების ამ პატარა კუნძულთან, რომელიც ამირობისა და რევოლუციურობის სიმბოლოა კარიბის ზღვაში.

კუბელი ხალხი დიდად აფასებს არა მარტო იმ პრაქტიკულ, მატერიალურ დახმარებას, რასაც საბჭოთა კავშირი ძმურად სთავაზობს მას, არამედ იმ მაგალითის ძალასაც, რაც მსოფლიოს დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მისცა.

როგორც კუბის რევოლუციის ბელადი ფიდელ კასტრო ამბობს: „...კუბის რევოლუცია შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჯაიილობით ადრე მოხდა რუსეთის 1917 წლის რევოლუცია“.

კუბელი ხალხი გულდაჯერებით, მტკიცედ მიდის ამ მართალი და ნათელი გზით.

გ. სამსონაძე.

სურათზე: კუბის რესპუბლიკის დედაქალაქი ჰავანა.

ფოტო ვ. კალეიკოვისა.

ირაკლი კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი კინოდოკუმენტალისტი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ირაკლი ისაკის-ძე კანდელაკი.**

ი. კანდელაკი დაიბადა 1901 წელს. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომელიც დაამთავრა 1932 წელს. ამავე წელს შედის კომუნისტური პარტიის რიგებში.

[illegible] „ოთხი დრო“, „ქართული ფუტკარი“, „დოსკორია“, „სამგორი“, „უძველესი ქალაქის გაზეთხული“ და კიდევ მრავალი დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმის აეტორი ირაკლი კანდელაკი უკანასკნელ დღემდე ახალგაზრდული ენერგიით და გატაცებით მუშაობდა. სულ რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდა ავალიანეთიდან, სადაც იმყოფებოდა შემოქმედებით მივლინებაში.

ი. კანდელაკი იყო შესანიშნავი მოქალაქე, ნიჭიერი ხელოვანი, გულისხმიერი ამხანაგი, ახალგაზრდობის მეგობარი და მრჩეველი.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

ირაკლი კანდელაკის ხსოვნა მუდამ ფიცოცხლებს ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის კომიტეტი; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი; საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდია.

გამარჯვება ნითელ ოლქში

რომი, 24 ივლისი. (საკდესი). ემილია-რომანიის „წითელ“ ოლქში, სადაც ამასწინანდელ არჩევნებში დამჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს იტალიის კომუნისტურმა პარტიამ და იტალიის პროლეტარული ერთიანობის სოციალისტურმა პარტიამ, პირველად შეიქმნა საოლქო აღმასრულებელი ორგანო (ჯუნტა), რომელშიც შევიდნენ მხოლოდ ამ ორი პარტიის წარმომადგენლები. საოლქო ჯუნტის თავმჯდომარედ არჩეულია კომუნისტი გუიდო ფანტი. ჯუნტის წევრებად — 9 კომუნისტი და იტალიის პროლეტარული ერთიანობის სოციალისტური პარტიის წევრი.

კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა იტალიის კომუნისტურმა პარტიამ ქალაქ ლიგორნოში. ამ ქალაქის მერი კვლავ გახდა კომუნისტი დინო რაუჯი, რომელსაც ხმა მისცეს იტალიის კომუნისტური პარტიის, იტალიის პროლეტარული ერთიანობის სოციალისტური პარტიისა და იტალიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა.

კომგვინატის დღესასწაული

ბრაზილია, 25 ივლისი. (საკდესი). ზალუეის (ჩრდილოეთ ჩეხიის ოლქი) ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელოს უდიდესი ქიმიური კომბინატის კოლექტივმა აღნიშნა სამახსოვრო წლისთავი. 24 წლის წინათ ეს საწარმოო უფასოდ გადასცა საბჭოთა მთავრობამ ჩეხოსლოვაკიელ ხალხს.

ზალუეის კომბინატი, რომელიც წინათ ჰიტლერული გერმანიის საკუთრება იყო, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის ხელში გადავიდა. ხოლო ერთი წლის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ უსასყიდლოდ გადასცა კომბინატი აღორძინების გზაზე დამდგარ ჩეხოსლოვაკიას. ამის აღსანიშნავად, საწარმოს კოლექტივის თხოვნით, მას ეწოდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელობის კომბინატი.

ახლა ზალუეის კომბინატი აწარმოებს რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მთელი პროდუქციის მეშვიდედ ნაწილს. საწარმოს კოლექტივმა, რომელიც შეჯიბრებაშია ჩაბმული საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის აღსანიშნავად, გადაჭარბებით შესრულა წლის პირველი ნახევრის გეგმა და გამოუშვა 18 მილიონ კრონზე მეტი ღირებულების დამატებითი პროდუქცია.

მსოფლიო ᲓᲦᲔ

დოკერთა გაფიცვა გრძელდება

ლონდონი, 25 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ა. დრიაბლოვი გვატყობინებს: უკვე კვირანახევარზე მეტია, რაც გრძელდება ინგლისის დოკერთა საერთო-ეროვნული გაფიცვა. მაგრამ დოკერებისა და მეწარმეებს კონფლიქტი კვლავ გადაუჭრელია. მეწარმენი და მთავრობა, რომელიც მათ მხარს უჭერს, გადაჭრით უარს ამბობენ დაკმაყოფილონ 47.000 ინგლისის ნავსადგურის მუშის სამართლიანი მოთხოვნები ხელფასის გარანტირებული მინიმუმის გადიდების შესახებ. თავის მხრივ ინგლისის დოკერებმა მტკიცედ განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ გაფიცვა განაგრძონ, სანამ მათ მოთხოვნებს სავსებით არ დაკმაყოფილებენ. მეწარმეთა უარი, არ დაუთმონ მუშებს, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ინგლისის ეკონომიკას.

სანამ ასობით გემი გადმოუტვირთავი დგას ნავსადგურებში, ბევრი ინგლისელი მეწარმე იძულებულია შეამციროს თავისი პროდუქცია ვითომდა ნედლეულის უკმარობის გამო. როგორც დღეს გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“ იუწყება, სამრეთ უელსის ინგლისის მეტალურგიის ერთ-ერთი მთავარი ცენტრის ფოლადსამსხმელო საწარმოები იძულებული არიან ერთიორად შეამციონონ ფოლადის წარმოება. ამჟამად მთავრობამ გამოყო 30.000-ზე მეტი ინგლისელი ჯარისკაცი, რომლებიც პირველი ბრძანებისთანავე მზად არიან შეებან დოკერებს. მაგრამ მთავრობა ჯერჯერობით ვერ ბედავს ასეთი ბრძანების გაცემას, ეშინია, რომ ეს ნაბიჯი გაიარესებს მდგომარეობას და გაამწვავებს ინგლისელ მუშათა ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის.

ᲒᲓᲠ-ᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲠᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ

ბერლინი, 24 ივლისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გაიმართოს და წარმატებით მოეწყოს სრულიად ევროპის თათბირი უშიშროების საკითხებზე, ნათქვამია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

განცხადებაში ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, მიიწონა და განიხილა რა 23 ივლისის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის ო. ვინცერის მოხსენება ბუდაპეშტის თათბირის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ, მოიწონა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის საქმიანობა ამ თათბირზე, აღნიშნავს საერთაშორისო ინფორმაციის ბიუროს ცნობა. ეს ინფორმაცია ეფუძნება ბერლინში ოფიციალურ ადგილებში მიღებულ ინფორმაციას.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲔᲛᲘ

ბარსაკმა, 25 ივლისი. (საკდესი). შეიცინში „ვარსკვლის სახელობის გემთსაშენი ალაბი აღმოაჩინეს გემ „პროფესორ შიგეოლევაზე“, რომელიც პოლონელმა გემთმშენებლებმა ააგეს საბჭოთა კავშირის შეკვეთით. ახალი გემი არც თუ ისე ჩვეულებრივია — იგი გამოდგება როგორც ტვირთის ჭამლასაზიდად, ისე საშვიათო სასწავლებლების კურსანტთა სწავლრნელად.

გემს აქვს 240 მოხერხებული კიუტა ექვსადგილისათვის, კურსანტებისა და მასწავლებლებისათვის. აქვე დარბაზი ლექციებისათვის, ბიბლიოთეკა, სასწავლო ლაბორატორიები.

„რა-2“-Ს ᲝᲡᲚᲝᲨᲘ ᲩᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲜ

ოსლო, 25 ივლისი. (საკდესი). „რა-2“-ს სახელგანთქმულ პაპირუსის ნავს, რომლითაც ტურ ჰეიერდალმა და მისმა ინტერნაციონალურმა ეკიპაჟმა იმოგზაურეს, ბარბადოსის ნაპირებისაკენ, ჩაიყვანეს ოსლოში. როგორც ნორვეგიის გაზეთი „ვერდენს განგი“ იუწყება, ეს მოხდება ივლისის „ტრაბლის“ შუა რიცხვებში.

გათვალისწინებულია ოსლოში „რა-2“ მოათავსონ მუზეუმში „კონ-ტიკის“ ტიპის მეზობლად, რომლითაც ტურ ჰეიერდალმა იმოგზაურა პერუდან პოლინეზიაში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲔᲛᲘ

ᲑᲐᲠᲡᲐᲙᲛᲐ, 25 ივლისი. (საკდესი). შეიცინში „ვარსკვლის სახელობის გემთსაშენი ალაბი აღმოაჩინეს გემ „პროფესორ შიგეოლევაზე“, რომელიც პოლონელმა გემთმშენებლებმა ააგეს საბჭოთა კავშირის შეკვეთით. ახალი გემი არც თუ ისე ჩვეულებრივია — იგი გამოდგება როგორც ტვირთის ჭამლასაზიდად, ისე საშვიათო სასწავლებლების კურსანტთა სწავლრნელად.

გემს აქვს 240 მოხერხებული კიუტა ექვსადგილისათვის, კურსანტებისა და მასწავლებლებისათვის. აქვე დარბაზი ლექციებისათვის, ბიბლიოთეკა, სასწავლო ლაბორატორიები.

ᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐᲓᲘ „ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲔᲑᲘ“

● **ᲓᲐᲠ-ᲔᲡ-ᲡᲐᲚᲐᲛᲘ,** 25 ივლისი. (საკდესი). ტანზანიის პოლიცია კვლავ აწარმოებს მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის შტაბ-ბინაში ბომბის აფეთქების გარემოებათა გამოძიებას. აფეთქებისას დაინგრა შტაბ-ბინის შენობის ნაწილი და სერიოზულად დაშავდა ერთ-ერთი თანამშრომელი. როგორც აქ ვარაუდობენ, აფეთქება მოხდა ამანათის გახსნის შედეგად, რომელიც მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის შტაბ-ბინას ფოსტით მიუღია.

ეს უკვე პირველი შემთხვევა როდია, როცა კოლონიზატორთა აგენტურა ბომბებს ფოსტით გზავნის.

ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ — ᲣᲝᲤᲘᲚ ᲡᲡ-ᲔᲚᲡ

● **ᲕᲔᲜᲐ,** 25 ივლისი. (საკდესი). ზალცბურგის საოკელაციო სასამართლომ დაამტკიცა ნაციისტი დამნაშავის შერიუს მკვიდრის (ავსტრია) ა. ზილერის განაჩენი.

1942 წლიდან 1943 წლამდე ბანკის სს-ელთა დაცვაში მყოფი ზილერი ხელმძღვანელობდა პოლონეთის ტერიტორიაზე მშვიდობიან მოქალაქეთა დახვრეტას, ომის შემდეგ ყოფილი ჯალათი მშვიდად ცხოვრობდა ავსტრიაში. 1967 წლის ზაფხულში ზილერი დაუპატიმრა ავსტრიელ პოლიციამ. ეს მოხდა მას შემდეგ, როცა მოწმეებმა იცნეს ქალაქ შტუტგარტში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ერთ-ერთ პროცესზე, სადაც ზილერი „მოწმედ“ იყო მიწვეული. ამა წლის გაზაფხულზე ქალაქ ზალცბურგში გიმართა სასამართლო, რომელმაც ყოფილ სს-ელს მიუსაჯა შვიდი წლის პატიმრობა.

ᲡᲐᲥᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

● **ᲝᲢᲐᲕᲐ,** 25 ივლისი. (საკდესი). კანადის პრემიერ-მინისტრმა პ. ტრიუდომ წერილი გაუგზავნა ინგლისის პრემიერ-მინისტრ ე. ჰიტს, რომელშიც გამოთქვამს კანადის მთავრობის შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა იარაღის მიწოდება განუახლოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, განაცხადა კანადის მთავრობის წარმომადგენელმა, ამ წერილში, თქვა მან, ალინიშნულია, რომ კანადის მთავრობა შეშფოთებულია იმით, რომ ლონდონის გადაწყვეტილებას შეიძლება არასასურველი შედეგები მოჰყვეს ერთა თანამეგობრობის საშინაო ურთიერთობისათვის, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო.

ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

● **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** 25 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება ზანგთა გამოსვლები, რომლებიც შეშფოთებენ ამერიკ ხელისუფალთა თვითნებობით. ზანგთა ორი ოჯახის უკანონოდ გასახლების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდნენ ილინოისის შტატის ქალაქ პეორიის ზანგები. სამართლიანი მოთხოვნის პასუხად ადგილობრივმა ხელისუფლებმა ბრძანეს გეტოს მცხოვრებთა გარეკვა. პოლიცია სასტიკად გაუსწორდა დემონსტრანტებს. შეტაკების შედეგად სამი კაცი სერიოზულად დაიჭრა, 26 დაუპატიმრეს.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მდგომარეობის შემდგომი გაუარესების შიშით ქალაქის მერმა შემოხდო საგანგებო წესები.



ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

25 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ფინალში ათი წლის შემდეგ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲜᲘᲬᲢᲩᲘ“ (ბაკო) 1:0 (1:0). თბილისი. 25 ივლისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი — Ა. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ (ლენინგრადი).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანდელაძე, ხუციელავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი (ილიადი), კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გაგაშელი, ლ. ნოდია (გ. ნოდია).

„ᲜᲘᲬᲢᲩᲘ“ — კრამარენკო, კულიავი, ბრუხტი, ბაბაევი, რახმანოვი, ზეინალოვი, სტეკლენიკოვი (ეინულაევი), სმოლნიკოვი, ბანიშევსკი (ალიზადე), ბაჯიევი, შეფრენკო.

ᲝᲗᲮᲯᲔᲠ იყვნენ დინამოელები ფინალში, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ბროლის თასის თბილისში ჩამოტანა. გადიოდა დრო, ეს კარგი ტრადიციაც მივიწყებას მიეცა. და აი ათი წლის შემდეგ თბილისის დინამოელთა წინაშე კვლავ რეალურად დგას თასის მოპოვების საკითხი. დიახ, ისინი უკვე ფინალში გავიდნენ. დინამოელებმა გუშინ დაამარცხეს ძლიერი მეტოქე — ბაკოს „ნეფტჩი“ მინიმალური ანგარიშით 1:0.

ჩვენ აქ არ შევუდგებით მატჩის მსვლელობის დეტალურ აღწერას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს იყო თასის ნახევარფინალის ათვის დამახასიათებელი ბრძოლა. ორივე გუნდმა აჩვენა გამარჯვებისათვის უჩვეულო სწრაფვა, კარგი ფიზიკური მომზადება. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მეკარეთა კარგი თამაში, ამ დღეს ისინი მართლაც რომ მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. განსაკუთრებით კრამარენკომ ჩინებული თამაშით არაერთხელ იხსნა თავისი გუნდი აშკარა გოლისაგან.

ერთადერთი ბურთი, რომელიც მე-20 წუთზე იქნა გატანილი, ეკუთვნოდა „ნეფტჩის“ მცველს კულიევს. დინამოელთა მიერ მარჯვენა ფრთიდან გათამაშებულ კომბინაციას, შემდეგ კი ჩამოწოდებას მოჰყვა ის, რომ კულიევმა ბურთის მოგერიების ნაცვლად საკუთარ კარში გაგზავნა.

თბილისელი დინამოელები ფინალში შეხვდებიან მოსკოველ თანაკლუბელებს.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲕᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ...

ᲑᲣᲨᲘᲜ მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე სსრ კავშირის თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და კიევის „დინამოს“ გუნდები.

თამაშის პირველი წუთები მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მე-13 წუთზე ავრუცკიმ პირველი ბურთი გაიტანა კიეველთა კარში. შემდეგ, 22-ე წუთზე მოსკოველთა ახალგაზრდა მეკელმა სმირნოვმა ბურთი უხერხულად გაუგორა მეკარე იამინს და ჯუზაჩმა ანგარიში გათანაბრა. ტაიმის ბოლომდე ეს ანგარიში არ შეცვლილა. მეორე ტაიმის დასაწყისშივე — მე-9 წუთზე — მოსკოველმა ეშტრეკოვმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ამრიგად, თასის გათამაშების ფინალში მონაწილეობის უფლება მოსკოვის „დინამომ“ მოიპოვა.

„ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓᲐ-70“

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲨᲘ გრძელდება სტუდენტ სპორტსმენთა საკავშირო ასმარეზობა — უნივერსიადა.

ძალსნობაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა უკრაინის ნაკრებმა. მომდევნო ორი საპრიზო ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს რსფსრ-ისა და მოსკოვის გუნდებმა.

ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის ფინალში გასვლის შანსებს ინარჩუნებენ რსფსრ-ის, მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიისა და საქართველოს გუნდები, ხოლო ვაჟთა კოლექტივებს შორის წინ არიან აზერბაიჯანის, მოსკოვის, ბელორუსიისა და უკრაინის გუნდები.

ცნობილი ფინალისტები კალათბურთში. ესენი არიან — ბელორუსიის, ყირგიზეთის, სომხეთის, საქართველოს, მოსკოვისა და უკრაინის ვაჟთა გუნდები, აგრეთვე რსფსრ-ის, ლენინგრადის, უკრაინის, ყირგიზეთის, ყაზახეთისა და საქართველოს ქალთა გუნდები.

ᲙᲝᲛᲙᲝᲜᲘᲡᲢᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ

ᲓᲘᲡᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ...

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, მოსკოვის „სპარტაკისა“ და „ტორპედოს“ ამასწინანდელ მატჩში მოეღინდან გაიძვეს 3 ფეხბურთელი. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ განიხილა ეს საკითხი. სპარტაკელი ლოგოფეტი და ტორპედოელი ლენინი უმაშობისათვის დისკვალიფიცირებული არიან ორ-ორი თამაშით, ხოლო ტორპედოელი გერშკოვიჩი მსაჯის შეურაცყოფისათვის — სამი თამაშით.

რამდენიმე სტრიქონით

● **ᲡᲙᲝᲞᲯᲔ.** დღეს ევროპის ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და ესპანეთის სტუდენტი ფეხბურთელები. ნახევარფინალში ჩვენმა გუნდმა მოუგო რუმინელებს 6:5 (ძირითადი დრო 2:2, დანარჩენი გოლები პენალტებით).

● **ᲡᲐᲠᲐᲔᲕᲝ.** დამთავრდა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა მოჭადრაკემ ვ. კოზლოვსკაიამ, რომელშიც 13-დან 10,5 ქულა შეაგროვა.

● **ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ.** დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება. წყალში ხტომაში. ასალი ჩემპიონებისაგან დაკომპლექტდება სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატში.

● **ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** ვიუწყებოდით, ტრადიციული მატჩი მძლეოსნობაში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა ლენინგრადში, დამთავრდა საბჭოთა მძლეოსნების გამარჯვებით 200:173.

მატჩის მონაწილენი ლენინგრადიდან მოსკოვს გაემგზავრნენ და დღეს კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად დედაქალაქის „ლოკომოტივის“ სტადიონზე. სტუმრები ასპარეზობაზე გამოიყვანენ 28 მძლეოსან ქალსა და 25 ვაჟს.

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

□

ᲥᲐᲚᲘ—ᲒᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲝᲕᲘᲜᲘᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ᲑᲘᲛᲠ ვაჟკაცს შეშურდება ქალაქ დონს დიასახლისის ა. ა. იაკოვლევას გამბედაობა და მამაცობა. ადრეული გაზაფხულიდან პირველი ყინვების დადგომამდე იგი ყირგიზეთის სახელმწიფო ზოოსანაშენესთან დადებული ხელშეკრულებით იჭერს გველებს. სულ მეორე წელია, რაც ანა იაკოვლევა ამ უჩვეულო საქმეს ეწევა, რომელიც მოითხოვს გამბედაობას, დიდ გამჭრიახობასა და ამტანობას. მაგრამ მან უკვე გაითქვა გამოცდილი გველის მჭერის სახელი. ა. ა. იაკოვლევას ამ ქალაქში უკვე მიბაძა შვიდმა მცხოვრებმა და მოხალისე გველის მჭერი გახდა.

როგორც ცნობილია, გველის შხამი აუცილებელია ქირურგიისთვის: იგი საოცრად სწრაფად ადიდებს სისხლს ოპერაციის დროს. ეს შხამი შედის ბევრი პრეპარატის შემადგენლობაში, რომლებითაც მკურნალობენ რადიკულიტს, ბრონქულ ასთმას, ჰიპერტონიულ დაავადებებსა და სხვ.

ᲔᲓ. ᲓᲔᲜᲘ, ფსკოვის ოლქი.

ნ. ᲛᲘᲚᲝᲕᲘ,
საკდესის კორ.

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲗᲘᲗ

ᲠᲐᲓᲘᲝ

27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები, 09.25 — კონცერტი ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოებებიდან, 11.05 — უცრავს საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის ორკესტრი „ცისფერი ეკრანი“, 11.45 — აფხაზური სიმღერები, 12.10 — ციკლიდან „ლაპარაკობენ საწარმოთა ხელმძღვანელები“. საუბარი „მშენებლებს — მაღალხარისხოვანი საშენი მასალები“, 12.25 — ჯ. გერშვინი. საფორტეპიანო კონცერტი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — დ. არაყიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ხე სიკეთისა“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — მენდელსონი. უსიტყვო სიმღერები, 19.00 — საუბარი „შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა პიროვნების ყოველმხრივ განვითარების საფუძველია“, 19.15 — მღერის ნ. ბრეგვაძე, 19.45 — მუსორგსკი. სცენა ოპერა „სალამბოდან“, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — ციკლიდან „თეატრი მიკროფონთან“. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „მარინე“, 22.50 — ნ. გაბუნია. სარკასტრო პიესა „პოემა — ელეგია“, 23.30 — იტალიური სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐ